**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

08 აგვისტო 2025 წელი

# ბრძანება N 01-10/92

## ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 24 ივლისის №910957 სახურებრივი ბარათის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას ბსუ-ს მიერ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი **ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:**
   ა) როლანდ ხალვაში- ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი (ჯგუფის ხელმძღვანელი);
   ბ) ტარიელ ებრალიძე - ინფრასტრუქტურის საკითხებში ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი (ჯგუფის მდივანი);
   გ) ედიშერ ჩავლეიშვილი - ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი (ჯგუფის წევრი);
   დ) გენად აბულაძე - ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის უფროსი (ჯგუფის წევრი);
   ე) მერაბ ხალვაში - ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (ჯგუფის წევრი);
   ვ) გიორგი დიასამიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (ჯგუფის წევრი).
2. **ინსპექტირების ჯგუფმა განახორციელოს შემდეგი ფუნქციები (აქტივოებები):**
   ა) ბსუ-ს მიერ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით ბსუ-ს მიერ გაფორმებული ყველა ხელშეკრულების პირობების ჯეროვანი შესრულების კონტროლი;
   ბ) ხელშეკრულების ობიექტის საგარანტიო ვადების კონტროლი, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების/დეფექტების აღრიცხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის ინფორმაციის წერილობით მიწოდება;
   გ) სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის რეკომენდაციების წარდგენა;
   დ) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ თითოეული ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების დაწყებამდე, ინსპექტირების ჯგუფის თითოეული წევრის მიერ

შესყიდვის ობიექტთან მიმართებით ინტერესთა კონფლიქტის არსებობის/არარსებობის შესახებ ხელწერილის შედგენა და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

ე) ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზნით, ინპექტირების პერიოდული დოკუმენტაციის წარმოება და საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების/აქტივობების განხორციელება.

3. ბსუ-ს მიერ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების ინსპექტირების ჯგუფისთვის მიწოდება და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება უზრუნველყოს ბსუ-ს შესყიდვების სამსახურმა.
4. **ძალადაკარგულად გამოცხადდეს** ,,ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ" **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 11 ნოემბრის N01-10/141 ბრძანება.**
5. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება.
6. ბრძანება დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, რექტორის აპარატს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **მერაბ დიასამიძე**